# დენდროლოგიური პროექტი

ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ




საკადასტრო კოდი: 01.72.14.014.935

მიწის ნაკვეთის ფართი: 2500.00კვ.მ კვ

კვ კოეფიციენტის საანგარიშო ფართი 2.077კვ.მ

მისამართი: ქ. თბილისი აგრალური უნივერსიტეტის ტერიტორია

დამკვეთი: კუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC

დამკვეთი: კუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC

double M group

შემსრულებელი: შპს "დაბალ მ გრუპი"

# დენდროლოგიური პროექტი

**თარიღი:** 23/ 06/2023წ.

**მისამართი:** ქ. თბილისი, აგრალური უნივერსიტეტის ტერიტორია

**საკადასტრო კოდი:** 01.72.14.014.935

**დამკვეთი:** შპს "კუზანოვის კლინიკა"

ქალაქის ლანდშაფტში განსაკუთრებლი ადგილი უჭირავს მწვანე ნარგავებს, რომლებიც განიხილებიან როგორც განუყოფელი და უმნიშნელოვანესი შემადგენელი ნაწილი ქალაქის დაგეგმარების და კეთილმოწყობის საქმეში.

ნარგავების დიდი მასივების (პარკბი და ტყეპარკები) გვერდით, გამწვანების სისტემის შემადგენლობაში შედიან ნარგავები: საცხოვრებელი სახლების, საბავშვო ბაღების, სკოლების, დაწესებულებების, სკვერების და სხვათა მიმდებარედ. სწორედ ეს ნარგაობები შეადგენენ ქალაქის გამწვანების ძირითად შემადგენელ ნაწილს, ისინი მრავალმხრივ განსაზღვრავენ გარემო პირობებს და ქალაქის იერსახეს. გამწვანების სრულყოფილი სისტემის შექმნა კომპლექსური პროცესია, დაკავშირებული მრავალ ქალქამშენებლობის, არქიტექტურული, კულტურულ-შემეცნებითი, მხატვრულ, აგროტექნიკურ, ეკონომიკურ და სხვა საკითხებთან.

ქალაქის განაშენიანებაში მწვანე ნარგავების როლი ერთობ დიდია, რომელიც, ზემოქმედებას ახდენს ჰაერის შემადგენლობაზე, სისუფთავესა და იონიზაციის პროცესზე, ხელს უწყობს ქალაქის გარემოს გაჯანსაღებას, აუმჯობესებს მიკროკლიმატს, ასუსტებს ძლიერი ქარების უარყოფით ზემოქმედებას, წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას ქალაქში არსებული ხმაურის წინააღმდეგ, მონაწილეობს ქალაქის საინჟინრო კეთილმოწყობასა და მელიორაციულ საკითხებში, წარმოადგენენ ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას, ხელს უწყობენ ტერიტორიების არქიტექტურულ-სამშენებლო ორგანიზებას, ასევე ამაღლებენ ქალაქის მხატვრულ ღირებულებას.

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში მისამართი ქ. თბილისი, აგრალური უნივერიტეტის ტერიტორია, საკადასტრო კოდი: 01.72.14.014.935 მთლიანი ფართობი შეადგენს 2500.00 კვ.მ–ს, (კ3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართია 2.077კვ.მ) ხოლო კ3 ფართობი შეადგენს 485.95 კვ.მ–ს, აქედან: მწვანე პარკინგის ფართია 193.05, მწვანე გაზონი 292.90კვ.მ. ექსპერტი ალექსანდრე აფციაურის მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნის საფუძველზე. ტერიტორიაზე განლაგებულია 27 ნარგავი, რომელთაგან 3 ხილ-კენკროვანია.
ტერიტორიაზე არსებული 24 ძირი გლედიჩია თვითმოთესვით არის ამოსული, ვინაიდან გლედიჩია ძლერ ეკლიანია და საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია კლინიკის აშენება, ის საფრეს უქმნის მოსახლეობას. თუმცა მერიის გარემოს დაცვის სამსახურის გადაწყვეტილებით უნდა მოხდეს მათი გადარგვა. გთხოვთ კიდევ ერთხელ განიხილოთ და მოგვცეთ უფლება მათ ნაცვლად გამოვიყენოთ 6 ძირი ნეკერჩხალი, 12 ბუჩქი ტუია და ფოტინია, რომელთაც დაემატება დაგეგმილი 4 ძირი ნეკერჩხალი, 7 ძირი ტუია და 6 ძირი ფოტინია. ჯამში 10 ძირი ნეკერჩხალი, 13 ძირი ტუია და 12 ძირი ფოტინია სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით იგეგმება ტერიტორიაზე არსებული 24 ძირი გლედიჩიას გადარგვა ამავე ტერიტორიაზე, 4 ძირი ნეკერჩხლის, 7 ძირი ტუიასა და 6 ძირი ფოტინეას დარგვა, ჯამში იქნება 28 ხე და 13 ბუჩქი რაც სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.




ნეკერჩხალი



ფოტინია



ტუია

# მწვანე ნარგავების გაშენების აგროტექნიკა

## • ნიადაგის მომზადება

ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას, ტერიტორიაზე გავრცელებული სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვა ფართობის განთავისუფლებას. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ მოხდეს ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით ნიადაგის ნაყოფიერების განხორციელება, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა - განვითარების უზრუნველსაყოფად.

## ნიადაგის კვლევის შედეგები:

ნიადაგის ტიპი - მდელოს ყავისფერი ნიადაგი
ნიადაგის მექანიკური შემადგენლობა - მძიმე თიხნარი ნიადაგი
კარბონატობა $CaCO_3$ - 6 -15%
ნიადაგის არის რექაცია pH – 7,5 -7,8
მოძრაობის ფორმები - საკვები ელემენტები:

1. ჰიდროლიზური აზოტი A -3,2 მგ- 100 გრ ნიადაგში;
2. ხსნადი ფოსფორი $P_2O_5$ -3,5 მგ- 100 გრ ნიადაგში;
3. გაცვლითი კალიუმი $K_2O$ -22-27 მგ -100 გრ ნიადაგში;

არსებულ ნიადაგზე შესაძლებელია ხე–მცენარეების დარგვა–გადარგვა.

## • ხე მცენარეების ამოღება:

1. მოთხრა უნდა მოხდეს შემოდგომაზე ვეგეტაციის ბოლოს, როდესაც მცენარის ყლორტის ზრდა დამთავრდება, გამერქნდება და საბოლოოდ ჩამოყალიბდება კენწეროს კვირტი, ან გაზაფხულზე კვირტის გახსნამდე (მცენარის ვეგეტაციის დაწყებამდე). შემოდგომა (ოქტომბერი) და ადრე გაზაფხული (მარტი).
2. ხის კომის ზომა უნდა განისაზღვროს ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ ათმაგი ოდენობის, ხოლო სიღრმე არანაკლებ 1,7 მ. – ის;
3. ხემცენარის გადარგვამდე უნდა მოხდეს მისი კომის ფიქსირება იმ საშუალებებით, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ხემცენარის კომის შენარჩუნება ტრანსპორტირების პირობებში;
4. ხის ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე;
5. ამოღებისას ღია ფესვთა სისტემა დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს ჯვალოს მატერიით, ან სპეციალური ბადით;
6. ამოღებული ხის ტრანსპორტირების შემთხვევაში ჯვალოში ან ბადეში შეფუთულ კომს უნდა გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია (ხის ჩარჩოები, ასაწყობი ყუთები, მავთულბადე, მეტალის სხვადასხვა კონსტრუქციები, სპეციალური დასაშლელი ვაზონები, ჭილობი, ბრეზენტი და ა.შ.);
7. მიწის კომის შეფუთვის შემდეგ ხის ღეროზე აკეთებენ სპეციალურ შალითას, რომელიც დამზადებული შეიძლება იყოს ქეჩის, ბრეზენტის ან ტყავისაგან. ასეთი შალითის დანიშნულებაა დატვირთვის, გადაზიდვის და დარგვის დროს ხის შტამის დაცვა შესაძლო შემთხვევითი დაზიანებისაგან;
8. ხის ამოღება უნდა განხორციელდეს სპეციალური ამწე მოწყობილობებით, რადგან კომი დაცული იქნას მკვეთრი და ძლიერი დარტყმებისაგან, ვინაიდან გადარგვის პროცესში

კომს არ შეექმნას არასასურველი რყევები, რაც გამოიწვევს ფესვების დაგლეჯვას ან მათგან ნიადაგის მოშორებას;

## • ხე მცენარეების დარგვა:

1. გადასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებული უნდა იქნას ორმო;
   სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 – 0,9 მ. – ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2–0,25 მ.–ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
2. ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან:
3. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით;
4. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 – 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 – 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
5. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ამწეს გამოყენებით, ისე, რომ ხის კომი 5 – 10 სმ–ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან;
6. კომი უნდა განთავისუფლდეს შესაფუთი მასალისაგან;
7. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
8. ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
9. ხის დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღერის ფიქსირება არანაკლებ 3 მხრიდან;
10. სარგავ ორმოში ცარიელი სივრცე ივსება ნიადაგის ნაზავით და ფრთხილად იტკეპნება, რათა არ დაიშალოს კომი და არ მოხდეს ფესვთა სისტემის დაზიანება;
11. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;

12. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე;

• ხე–მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა–პატრონობა:

1. ხის მოვლა უნდა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში;
2. გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
3. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა–გაფხვიერება–განახლება;
4. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა;
5. მორწყვა უნდა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;
6. დამატებითი მორწყვა უნდა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;
7. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;
8. ხის დარგვისთანავე მცენარეებზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ –დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;
9. პერიოდულად ჩატარდეს ვარჯის სხვლა–ფორმირების სამუშაოები.

## მორწყვის ტექნიკა

მორწყვის ტექნიკისათვის დამახასიათებელია თავისებურებები. მერქნიანი მცენარეების ფესვთა სისტემა განთავსებულია ნიადაგის ფენაში - 60 -70 სმ სისქეში. აუცილებელია მიღწეულის იყოს, რომ

ტენიანობის შემცველობა ფესვთა სისტემის განლაგების ფენაში შეადგენდეს კრიტიკული ტენტევადობის 70-80%-ს.

მორწყვის ფართობი უნდა იყოს არანაკლები ფართობი ვარჯის პროექტისა, რიღრმე კი- არა ნაკლებ 60-70 სმ.წყლის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ოპტიმალური ტენიანობის შენარჩუნებისათვის, ხის გარშემოჯამების 1მ2 -ზე,იწოდება „მორწყვის ნორმად“, რომელიც დამოკიდებულია ნიადაგში ტენის მარაგის დეფიციტისა და ნიადაგის სახეზე. რწყვის ნორმის გამოანგარიება ხდება შემდეგი ფორმულით: A=Б (В –Г) D

სადაც: A - სარწყავი ნორმა მ3 წყალი 1მ2 ფართობზე;
Б - რწყვის წყალტევადობის ზღვარი %- ში ზღვრული სარწყავი ტენტევადობიდან; Г - ნიადაგის ტენიანობა % -ში ზღვრული სარწყავი ტენტევადობიდან;
D - ნიადაგის ფენის სიღრმე მ - ში.

აღნიშნული ფორმულით სარწყავი ფორმა 1 - ხისათვის, რომილის სიმაღლეა 5მ, ჯამის სიდიდე 2X2. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში: В -22% (0,22); В -80% (0,8); Г – 40%(0,4); D – 0,7 მ.

სარწყავი ნორმა 1მ2 -ჯამზე შეადგენს: A=0.22(0.8-0.4)x 0.7=0,0616მ3ან 60ლ. ერთი ხის მორწყვის ნორმა,იმის შესაბამისად, რომ ფესვების სისტემით დაკავებული ფართობი 6,25მ2- ია (2,5x2.5მ), შეადგენს 375 ლიტრს

განსაკუთრებით ინტენსიური რწყვაა საჭირო მცენარეებზე ყლორტებისა და ფოთლების ზრდის დროს.ამიტომ ინტენსიური მორწყვა უნდა დაიწყოს მაისის თვიდან.

## • მოლის მოწყობა და მოვლა

ბალახისგან მოწყობილ მოლს გარდა დეკორატიული დანიშნულებისა სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულებაც აქვს,იგი წმენდს, აგრილებს და ზომიერს ხდის ჰაერს, ხოლო ქუჩებში - ხელს უწყობს მერქნიანი მცენარეების ნორმალურს ზრდა-განვითარებას. დაბუჩქული ბალახი, რომელსაც ღრმად აქვს მიწაში გადადგმული ფესვები, ნიადაგიდან იწოვს და ფოთლების საშუალებით დიდი

რაოდენოით აორთქლებას წყალს, რაც აგრილებს და ასუფთავებს ჰაერს.

## მოლის კლასიფიკაცია

მოლის დანიშნულებისა და ხანგრძლივობის მიხედვით (ერთწლიანი,მრავალწლიანი) ყოფენ ორი ძირითად ჯგუფად: დეკორატიულ და სპორტულ მოლებად. დეკორატიულ მოლს კი, თავის მხრივ, ყოფენ: ა)პარტერის (ყვავილნარებთან ან ცალკე), ბ) ჩვეულებრივ, ბაღებში, ქუჩებსა და სკვერებში არსებულს და გ)მდელოს ტიპის მოლს - პარკებსა და ტყეპარკებში არსებულს.

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ხდება მდელოს ტიპის მოლის მოწყობა.

## მოლის მცენარეთა ასორტიმენტი

ნიადაგის სრულფასოვნად დამუშავებაზეა დამოკიდებული მოლის ხარისხი და გამძლეობა. ნიადაგის დამუშავება უნდა მოხდეს შემოდგომაზე ან ზამთარში 15-20 სმ სიმაღლეზე. გაზაფხულამდე ნახნავი იყინება, იფიტება, ბელტები იშლება, ტენიანდება, სარეველების ძირები და ფესვები - ნაწილობრივ იღუპება. გაზაფხულზე უნდა მოხდეს ნიადაგის ხელმეორეს გადახვნა, გადაფარცხვა, სარეველებისგან გაწმენდა, ნიადაგის შემადგენლობის, და მისი დანიშნულების შესაბამისად საჭირო რაოდენობისა და სახის სასუქის შეტანა, რის შემდეგადაც უნდა მოხდეს ნიადაგის გადაფარცხვა.

ნიადაგის ზედაპირი უნდა მოსწორდეს და მიეცეს პროექტით გათვალისწინებული ქანობის ფორმა, დიდი სიზუსტით უნდა მოხდეს ნიადაგის მოსწორება.

## თესვის ვადა და წესი

თესვის ნარევის მომზადებისა და ნიადაგის დამუშავების შემდეგ, იწყება თესვა. თესვის დაწყებამდე ნიადაგის ზედაპირს

ხელის ფოცხით საბოლოოდ ასწორებენ, აცლიან შერჩენილ სარეველებს. თესვისათვის ყველაზე კარგი დროა გახაფხული (მარტი, აპრილი) ან გვიანი შემოდგომა. ყვავილნარებისა და პარტერებში, ასევე, ყველა იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია მორწყვა, თესვა შეიძლება მაისსა და ივნისშიც.

თარგების მოყვანილობისა და ზომის მიხედვით ხდება თესვა ხელით მობნევით ან სათესი მანქანით, წყნარ უქარო ამინდში. თესლი თანაბრად რომ დაგანაწილდეს ფართობზე, დასათესი თესლი იყოფა 2 ნაწილად და თესვა ხდება ორი მიმართულებით, გარდიგარდმო (სწორი კუთხით). თუ ითესება სხვადასხვა ზომის თესლი (რაც თესვისას იწვევს არათანაბარ გადანაწილებას), საჭიროა მისი ასევე ორ ნაწილად (სიმსხოს მიხედვით) თესვა გარდიგარდმო. გზის ნაპირები, მოლის ვიწრო ზოლები, პარტერებსა და ყვავილნარების მცირე ნაკვეთები - ითესება შედარებით სქლად, ვიდრე სხვა ფართობები. თესვის დამთავების შემდეგ  0,5 – 2 სმ სიმაღლეზე  თესლს უნდა გადაეყაროს მიწა და ფრთხილად დაიტკეპნოს.

მშრალ ამინდში, თესლის ამოსვლამდე, საჭიროა მოლის ზედაპირის დანამვა (დაწვიმებით მორწყვა - მცირე ჭავლით, რომ თესლი არ ამოცვივდეს ზედაპირზე)

ძლიერ ტენიანი ნიადაგების დატკეპვნა არ არის საჭირო, რადგან იწვევს მიწის ზედაპირის გადალესვას და უარყოფითად მოქმედებს თესლის გაღივებასა და აღმოცენებაზე, მის ზრდა-განვითარებაზე.

## მოლის მოვლა

სათანადო და რეგულარული მოვლის შემთხვევაში, მოლმა შეიძლება ათეული წლების განმავლობაში იარსებოს და არ დაკარგოს როგორც დეკორაციული, ასევე ხარისხობრივი მნიშვნელობა, ასევ, არ იქნება საჭირო მისი ხელმეორედ მოწყობა და კაპიტალური რეკომენდაცია.

მოლის სწორი და კარგი მოვლა განაპირობებს ბალახების ნორმალურ ზრდა-განვითარებას. მოლი უნდა იწმინდებოდეს

როგორც სარეველებისგან, ასევე ქვებისა და სხვა ნარჩენებისგან, საჭიროებს სისტემატურ  კრეჭას, თიბვას, რწყვას და სხვა.

თიბვა - თანაბარი, ლამაზი და მწვანე ბალახოვანი საფარის მისაღებად საჭიროა მოლზე, ბალახის დროული და სისტემატიური თიბვა, რის შედეგადაც მცენარეები უკეთ ბარტყობენ და იქმნება შეკრული და მკვრივი კორდი. თიბვის შემდეგ მცენარე ივითარებს უამრავ ახალ მწვანე ყლორტებს, ხოლო ერთწლიანი სარეველა ბალახი კი - ისპობა.

მოლის გათიბვა უნდა ხდებოდეს მაშინ, როცა ბალახის ნორჩი ყლორტების სიმაღლე 10-12 სმ-ს მიაღწევს, რადგან უფრო მაღალი ბალახი უხეში ხდება, ყლორტების ქვედა ნაწილი შიშვლდება და ღეროები იწყებენ ყვავილობას. გარდა ამისა,მაღალი ბალახის გათიბვა  უფრო რთულია.გათიბვა უნდა წარმოებდეს 12-115 დღეში ერთხელ.

მიუდგომელ ადგილებში ბალახი იკრიჭება ბორდიურის მაკრატლით 2-3 სმ სიმაღლეზე. მოლის ნაპირები, განსაკუთრებით პარტერებსა და ყვავილნარების ირგვლივ, უნდა გაიკრიჭოს და შესწორდეს საპროექტო ნახაზის შესაბამისად, რადგან მოლი ხშირად გადაგის ნაპირებზე, დება გზებს, მოედნებს და ქმნის უსწორმასწორო ნაზახებს.

გათიბული ბალახი აღებული უნდა იქნას მაშინვე, ვინაიდან დარჩენილი ბალახი იწვევს მოლის გაყვითლებას და ამოხუთვას.

## მოლის მორწყვა

წყლის სიმცირე უარყოფითად მოქმედებს მცენარის განვითარებაზე, ყლორტების წარმოამნის უნარზე, მის ხარისხზე, ფოთლის ელასტიურობასა და შეფერილობაზე.

რწყვა წარმოებს ისე, რომ ნიადაგის ზედა ფენა გაიჟღინთოს 5- 12 სმ სიღრმემდე. მცირე რწყვა,მხოლოდ ზედაპირის 1 – 3 სმ სიღრმემდე საზიანოც კია, ჭარბი რწყვით კი, მცენარე ღრმად უშვებს ფესვებს ნიადაგში.

განსაკუთრებით რეგულარული რწყვას მოითხოვს მოლი დათესვის შემდეგ,გაღივების პერიოდში და აღმოცენების ამოსვლის პირველ ხანებში. მცირე ზომის მოლზე და განსაკუთრებით პარტერებში, რწყვა ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს, ერთხელ ან ორჯერ. დილით ადრე და საღამოთი. დიდი მოლის მორწყვა შეიძლება დღისითაც, თუ იგი ჭარბადაა მორწყული.მორწყვის საჭიროება და რაოდენობა დამოკიდებულია ადგილის კლიმატურ და ნიადაგურ პირობებზე, ასევე ბალახის სახეობაზე.

წყლის საშუალო მოთხოვნილება გვალვიან რაიონებში მთელი სეზონის განმავლობაში - 1მ2 მოლის მოსარწყავად წაჭიროა საშუალოდ 0,8 -1მ3 წყალი. მოლის მორწყვა უმჯობესია დაწვიმებით.

## მოლის ზედაპირის კვება

ხშირი თიბვით მოლის ნიადაგი იფიტება, ხდება გაეწერება თანდათან. ნათიბი ბალახის მოლი კარგავს საკმაო რაოდენობის საკვებ ნივთიერებებს. ნიადაგის გაღარიბება დამოკიდებულია დროსა და თიბვის რაოდენობაზე და მკვეთრად იცვლება.

მოლის ნორმალურ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად საჭიროა ნიადაგში სასუქის შეტანა (იხ ნივთიერებების, რომლების ნაკლებობაც განიცდის ნიადაგი, ნიადაგური კვლევის დასკვნის საფუზველზე). მაგ: შეიძლება შეტანილი იქნას ნაკელი (გადამწვარი) ან კომპოსტი - გვიან შემოდგომიდან ადრე გაზაფხულამდე (1ჰა 200-500 მ3), იმ ვარაუდით, რომ ზოლის ზედაპირზე 2-3 სმ სისქით მოეყაროს (თანაბრად უნდა განაწილდეს მთელ ფართობზე). შესაძლებელია მოლის მორწყვა წუნწუხით (წყალშიგახსნილი ნაკელი), თვეში ერთხელ (1მ2-ზე 10-20 ლიტრი).

## კორდის მოვლა და განახლება

ხშირად მოლის ზედაპირზე ჩნდება ხავსი, ამიტომ საჭიროა კორდის ზედაპირის გაფხვიერება და ხავსის მოშორება. კორდის

ზედა ფენის გაფხვიერება ხელს უწყობს ჰაერის გამტარიანობას ნიადაგის ქვედა ფენაში, აუმჯობესებს მის ფიზიკურ თვისებებს. გაფხვიერება ადრე გაზაფხულზე ხდება (ხელის ფოცხის ან სპეციალური იარაღების გამოყენებით). აჩეჩილი ხავსი და ხმელი ბალახის ღეროები გამოტანილი უნდა იქნას ფართობიდან ფოცხით.

ასეთი მოვლის ღონისძიებების შემდეგ, შედარებით უფრო გაძლიერედება ბარტყობა და დაჩქარდება მკვრივი კორდის შექმნა. მოვლა უნდა ჩატარდეს ყოველწლიურად ან 2-3 წელიწადში ერთხელ მაინც, რადგან ზოგიერთი ბალახი იღუპება და მოლზე რჩება ცარიელი - მოტიტვლებული ლაქები. თუ მოლის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია (საჭიროა მიზეზის შესწავლა). უნდა მოხდეს მოლის აღდგენა - რეკონსტრუქცია. ნიადაგი უნდა გადაიბაროს. თუ მოლზე ცოტა ნარგავებია, უნდა მოიხსნას ნიადაგის ფენა 15-20 სმ სიღმეზე და ამოიკრიფოს მრავალსწლიანი სარეველების დესვები და ფესურები. ნიადაგში, დაფარცხვის შემდეგ, შეტანილი უნდა იქნეს საჭირო რაოდენობის სასუქი და შემდეგ დაითესოს მოლის ბალახის ნარევი.

პროექტის დასრულების ვადად განსაზღვრულია მშენებლობის ნებართვის აღებიდან 3 წელი

მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირია შპს “კუზანოვის კლინიკა”

დირექტორი: ავთანდილ ტუღუში

შპს “დაბალ მ გრუპი”-ს
დირექტორი: /მ. მარგალიტაშვილი/



ს/კ 01009011319 მის. თბილისი, გლდანის VIII მ/რ, კორპ. 27, ბინა 100, ელ. ფოსტა: a.aptsiauri13@gmail.com
ტ. 551 156 154

№22 28 მარტი 2023 წ.

დ ა ს კ ვ ნ ა

მწვანე ნარგავების სახეობრივი მდგომარეობისა და
ხარისხობრივი შეფასების შესახებ

ა/წლის 27 მარტს ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია მისამართზე (საკადასტრო კოდი: 01.72.14.014.935) არსებულ ტერიტორიაზე მესაკუთრე შპს "კუზანოვის კლინიკა" (ს/კ: №202377178) მომართვის საფუძველზე მეტყევე-ინჟინრის მიერ (ექსპერტი სატყეო სამეურნეო საქმიანობის მიმართულებით) შემოწმდა მწვანე ნარგავების ფიზიკური მდგომარეობა. ვიზუალურად დათვალიერებული და სატყეო ტაქსაციაში მიღებული მეთოდების მიხედვით აღწერილი და შეფასებული იქნა ეს ხე-მცენარეები.

ხის დიამეტრი დადგინდა ორთითის საშუალებით მიწის პირიდან 10 სმ სიმაღლეზე გაზომვით.

ტერიტორიაზე განლაგებულია 27 ძირი ნარგავი, ყველა მათგანი ფოთლოვანია, რომელთაგან 3 ხილ-კენკროვანია. ტერიტორიაზე განლაგებული ნარგავებიდან თვითმოთესვით ამოსულია გლედიჩიის ძლიერ ეკლიანი ნარგავები, რომლებიც სასურველია მოიჭრას, რადგან ტერიტორიაზე ასაშენებელი შენობა სამედიცინო-პროფილაქტიკური ნაგებობა უნდა იყოს, სადაც მოსახლეობისათვის საფრთხეს წარმოშობს, თუმცა მერიის გარემოს დაცვის სამსახურის დადგენილების თანახმად ეს ნარგავები ექვემდებარებიან გადარგვას.

პირველ ეტაპზე ჯერ უნდა ამოთხრილი იქნას ორმო, რომელშიც უნდა ჩაირგას გადასარგავი ხე-მცენარე, ორმოს სიმაღლე და სიგანე უნდა იყოს იმ ზომის, რომ ხე-მცენარე ძალიან თავისუფლად ეტეოდეს ორმოში. ასაშენებელი შენობის საძირკველის გათხრის პროცესში ექსკავატორის საშუალებით მოითხრება მიწა გადასარგავი ხე-მცენარეების გარშემო იმ პირობით, რომ მათი ფესვთა სისტემა და განსაკუთრებით მთავარი ფესვი არ დაზიანდეს. ეს კი მიღწევადია, თუ ხის გარშემო მიწა მოითხრება ხის

ფესვის ყელიდან 40 – 50 სმ–ის რადიუსით (დამოკიდებულია ხის დიამეტრის სიმსხოზე) წრიულად გარშემო. ექსკავატორის ე.წ. „კოვშის“ საშუალებით აწეული უნდა იქნას მაღლა, რომ ძირითადი ფესვის (და დამატებითი ფესვების) დაზიანებული ნაწილები წაეჭრას. ასევე მოხდეს ამ ფესვებისა და მიწის, რომელიც ფესვებს გაყვება შეკვრა ჯვალოს ტომრით. ფოთლოვანი ხის გადარგვამდე, ხე თავისუფლდება ტოტებისაგან 3,5 და მეტი მეტრის სიმაღლემდე. ვინაიდან ხე გადასარგავია იქვე ტერიტორიაზე (დაახლოებით 5 – 8 მეტრის მანძილზე), ხეს ძირიდან ასწევენ ექსკავატორის ე.წ. „კოვშის“ საშუალებით, ხოლო იმისათვის, რომ ხემ წონასწორობა შეინარჩუნოს (ეს აუცილებელი პირობაა) გადატანის დროს, საჭიროა ხის ვარჯის ძირში შემოეკრას რეზინის ფურცლები (ხის მერქანი, რომ არ დაზიანდეს) ან ნაჭრის სარტყელი და აიწიოს ვერტიკალურ მდგომარეობაში, გადატანილ იქნას სპეციალურად მომზადებულ ორმოში, სადაც ხის ჩარგვამდე უნდა ჩაიყაროს შავმიწა ნიადაგი გაჯერებული ორგანული სასუქების ნაზავით და ზრდის სტიმულატორით „რაანი“-თ და ჩაისხას 10 ლიტრი წყალი (მიწა რომ გაიჟიჟოს). მიწის ჩაყრის დროს პერიოდულად მიწა უნდა დაიტკეპნოს (მუდმივად ამ პროცესის მიმდინარეობისას ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ ხემ ვერტიკალური მდგომარეობა შეინარჩუნოს). გადარგვის შემდეგ ხე უნდა გამაგრდეს მინიმუმ ორი ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიწაში ჩასობილი ჭიგოს სამაგრებით.

შემდგომ ეტაპზე მოძიებული უნდა იქნეს პასუხისმგებელი პირი, რომელიც ივალდებულებს, რომ ამ ნარგავს/ნარგავებს მოუვლის 3 წლის განმავლობაში, მოვლითი სამუშაოები მოიცავს: პირველი ერთი კვირა ყოველდღე მორწყვა (თითო ნარგავს 10 ლიტრი ოდენობის წყლის მიწოდება) დილით, შემდეგ კვირაში 2 – 3 ჯერ იგივე დოზით წყლის მიწოდება, გამარგვლა ანუ ზედმეტი ბალახის მოცილება, ჯამის (მიწის შემაღლებული ჯამის ფორმა ნარგავის ფესვის ყელთან) მუდმივად არსებობა, ხმელი ტოტების შეჭრა-მოცილება, რაიმე სახის (ენტო ან ფიტო მავნებლებით) დაავადების შემთხვევაში, შესაბამისი სპეციალისტის რჩევით მკურნალობა. განსაკუთრებული მოვლის სამუშაოები ზაფხული ცხელი დღეების პერიოდში - კვირაში 2-ჯერ წყლის მიწოდება.

დამკვეთი ხილ-კენკროვნებს გამოიყენებს შეხედულებისამებრ.

ცხრილში მოცემულია ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია მისამართზე (საკადასტრო კოდი: 01.72.14.014.935) არსებული ხე-მცენარეების სახეობები, მათი ფიზიკური მდგომარეობა, დიამეტრები მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე და შესაბამისი სამეურნეო ღონისძიება:

| № რიგ ზე | მერქნიანი სახეობა | $D_{10}$ დიამეტრი 10 სმ-ზე | სამეურნეო ღონისძიება<br>წითელი - ექვემდებარება მოჭრას,<br>ლურჯი - ექვემდებარება გადარგვას,<br>მწვანე - ადგილზე რჩება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 1,4 – 2,2 | ჯანსაღი, 4 ძირი | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2 | მაყვალი (Rubus caesius) | 1,1 – 6,6 | ჯანსაღი, ხილ-კენკროვანი, 4 ბუჩქი | |
| 3 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 1,4 – 3,4 | ჯანსაღი, 3 ძირი | |
| 4 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 1,2 – 7,6 | ჯანსაღი, 5 ძირი | |
| 5 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 2,1 – 10,6 | ჯანსაღი, 4 ძირი | |
| 6 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 2,2 – 11,9 | ჯანსაღი, 3 ძირი | |
| 7 | ვაზი (Vitis vinifera) | 0,4 – 0,8 | ჯანსაღი, ხილ-კენკროვანი, 3 ძირი | |
| 8 | ასკილი (Roza canina) | 0,1 – 0,2 | ჯანსაღი, ხილ-კენკროვანი, 3 ძირი | |
| 9 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 0,4 – 1,0 | ჯანსაღი, 6 ძირი | |
| 10 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 0,2 – 3,2 | ჯანსაღი, ბუჩქად, 15 ძირი | |
| 11 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 0,2 – 3,6 | ჯანსაღი, ბუჩქად, 5 ძირი | |
| 12 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 7,5 | ჯანსაღი | |
| 13 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 7,9 | ჯანსაღი | |
| 14 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 14,8 | ჯანსაღი | |
| 15 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 8,5 | ჯანსაღი | |
| 16 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 5,2 | ჯანსაღი | |
| 17 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 4,5 – 9,5 | ჯანსაღი, 3 ძირი | |
| 18 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 3,2 – 12,7 | ჯანსაღი, 2 ძირი | |
| 19 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 3,7 – 6,2 | ჯანსაღი, 2 ძირი | |
| 20 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 3,4 | ჯანსაღი | |
| 21 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 5,2 | ჯანსაღი | |
| 22 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 11,9 | ჯანსაღი | |
| 23 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 2,2 – 4,6 | ჯანსაღი, 2 ძირი | |
| 24 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 6,5 | ჯანსაღი | |
| 25 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 9,3 | ჯანსაღი | |
| 26 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 2,2 | ჯანსაღი | |
| 27 | გლედიჩია (Gleditschia macrocantra) | 1,8 | ჯანსაღი | |

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს ტერიტორიაზე არსებული ნარგავები მცირე ზომის დიამეტრებით ხასიათდებიან, რაც ზრდის მათი გახარების ალბათობას და შეადგენს 70%-ზე მეტს. თუმცა, როგორც ზემოთ ავღნიშნე გადარგვას დაქვემდებარებული ეს სახეობები უკეთესია ჩანაცვლდეს რეკრიაციული და გარემოსა და ადამიანებისათვის უსაფრთხო ნარგავებით.

ალექსანდრე აფციაური




პროფესორი, სატყეო საქმის მეტყევე–მეცნიერი
ლიცენზირებული და სერთიფიცირებული ექსპერტი

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

**ბრძანება № 6509373**

გაცემის თარიღი: 14/06/2023 გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR1953167
შემოსვლის თარიღი: 30/03/2023
შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.72.14.014.935
- მისამართი: ქალაქი თბილისი , აგრალური უნივერსიტეტის ტერიტორია; ქალაქი თბილისი , აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 2500.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს კუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC (202377178)

ნომენკლატურა :

- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა**
- **III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)**
- **სამედიცინო და ჯანმრთელობის ობიექტები**
  - პოლიკლინიკა

დამკვეთი - განმცხადებელი:

- დიმიტრი მარგალიტაშვილი პ/ნ 01019019043
- მისამართი: თბილისი ზესტაფონის ქ. N 18 კორ. 3 ბ. 21



....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

## ბრძანება

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე **დიმიტრი მარგალიტაშვილის 2023 წლის 30 მარტის AR1953167** განცხადება და დამტკიცდეს თანდართული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;
2. განემარტოს დამკვეთს, რომ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დაკმაყოფილება აუცილებელია კონკრეტულ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე სამშენებლო საქმიანობის განსახორციელებლად (მათ საფუძველზე დგება მშენებლობის განხორციელების დოკუმენტები) და იგი ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ.თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

## მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები

### I. ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ

- **საკადასტრო კოდ(ებ)ი:** 01.72.14.014.935
- **ფართობი:** 2500 კვ.მ
- **მიზნობრივი დანიშნულება:** არასასოფლო-სამეურნეო
- **მიწათსარგებლობის ზონები, რომლებიც ვრცელდება ნაკვეთზე:**

**ფუნქციური ზონა (ზონები):**

- **სპეციალური ზონა -1 (სპეცზ–1)** - სპეციალური ქვეზონა, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამედიცინო, ასევე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიებს;

-**სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-** სატრანსპორტო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის

განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ

ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზებს/ქუჩებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (განსხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, ტროტუარებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, მიწისქვეშა ნაგებობებს/შენობა-ნაგებობებს (მათ შორის მიწისქვეშა ავტოსადგომებს), ასევე თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უძრავ ქონებაზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებს; ასევე, შპს „საქართველოს ფოსტის“ (ს/ნ 203836233) ჯიხურებს;

**ტერიტორიულ-სტრუქტურულ ზონა:**

- **პერიფერიული ზონა (პზ)** – დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი;

- განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონა: _____
- განსაკუთრებული რეგულირების სარეკრეაციო ზონა: _____
- კულტურული მემკვიდრეობის ზონა:
- გარემოს დაცვის ზონა:_____
- ნორმატიული ფასის ზონა: ზონა **№1;** ფასი 23 ლარი;

- სპეციალური რეჟიმები:_____
- არქეოლოგიური უბანი/ობიექტი: _____
- ეკოლოგიური მდგომარეობა: _____
- მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის კეთილმოწყობა (მაგ.: შემოღობვა, საბავშვო სათამაშო მოედნები, გამწვანება):_____
- ავტომანქანების სადგომი ადგილების რაოდენობა: _____

## II. ძირითადი მოთხოვნები მიწის ნაკვეთის ან/და შენობა-ნაგებობის სამშენებლო განვითარების მიმართ

### 1. 1. სამშენებლო განვითარების მიზანი

- მშენებლობის სახეობა: **ახალი მშენებლობა**
- ფუნქცია/დანიშნულება: **სამედიცინო და ჯანმრთელობის ობიექტები, პოლიკლინიკა**
- საპროექტო ობიექტი: **პლასტიკური ქირურგიის ესთეტიური და სარეაბილიტაციო კლინიკა**
- შენობის (ნაგებობის) სართულიანობა და გაბარიტები: _____

### 1. 2. განაშენიანების რეგულირების პარამეტრები

**კონკრეტული ფუნქციური ზონის პარამეტრები:**

| განაშენიანების რეგულირების პარამეტრები სპეციალური ზონა -1 (სპეცზ -1) | | | |
|---|---|---|---|
| კ-1 | | – | კოეფიციენტი |
| კ-2 | | – | კოეფიციენტი |
| კ-3 | | **0,2** | კოეფიციენტი |
| საცხოვრებელი სიმჭიდროვე | | – | ერთეული/ჰა |
| მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები | მინიმალური ფართობი | – | კვ.მ |
| | მინიმალური სიგანე | – | მეტრი |
| | მინიმალური სიღრმე | – | მეტრი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე | | – | მეტრი |
| ***შენიშვნა*** | | | |
| | | | |

**შენიშვნა:** კოეფიციენტების ანგარიშის წესი იხილეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე-11, მე-12 და მე-13 მუხლებში.

1. **3. მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა**

- განაშენიანების რეგულირების (წითელი) ხაზი: _____
- განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი) ხაზი: _____

- საზოგადოებრივი საზღვრები: **დასავლეთით არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) მხრიდან**
- უკანა ეზო: **დანართის შესაბამისად**
- მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე: **განისაზღვროს საზოგადოებრივი საზღვრიდან და უკანა ეზოს მხრიდან.** ფორმულით H=L/Y, სადაც;

- H - განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის ნიშნულს;

- L წარმოადგენს დაშორებას შენობასა და საზოგადოებრივ სივრცეს ან/და სამეზობლო საზღვარს შორის.

- Y= წარმოადგენს კოეფიციენტს, რომლის მნიშვნელობაა:

  ა) 0.35 დასახლებათა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონებისათვის;

  ბ) 0.25 სამრეწველო ზონებისათვის;

  გ) 0.4 ყველა სხვა ზონისათვის.

**შენიშვნა:** მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები, მათი მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრის და მათი ნაწილების საზოგადოებრივ სივრცეში შეჭრის კონკრეტული წესები იხილეთ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“-ს V თავი.

**<u>გაფრთხილება :</u>**

1. **1.** გათვალისწინებულ იქნეს <u>გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის</u> რეკომენდაციები.
2. **2.** პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილი იქნას მიწის ნაკვეთზე გამავალი ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეების თანხმობა და შესაბამისი წესით დამოწმებული გენერალური გეგმა.
3. **3.** დაცული იქნას საზღვარი ფუნქციურ ზონებს შორის, კოეფიციელნტები დაანგარიშდეს სატრანსპროტო ზონა 1-ის (ტზ-1) პოტენციალის გამოყენების გარეშე.
4. **4.** მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დადგენილია ესკიზის შეთანხმების გარეშე.

## III. დამატებითი / სპეციალური მოთხოვნები მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობების) სამშენებლო განვითარების მიმართ

1. ავტოსადგომების ადგილების აუცილებელი რაოდენობა: ----------
2. გასათვალისწინებელი ტექნიკური რეგლამენტები:

- დაცულ იქნას „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების“ ტექნიკური რეგლამენტის (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილებით) მოთხოვნები.

1. განაშენიანების ესთეტიკური პარამეტრების რეგულირება:

- დაუშვებელია შენობა-ნაგებობების სახურავებზე შემდეგი გადახურვის მასალების გამოყენება:

ა) ნებისმიერი ფორმის მოთუთიებული თუნუქი (დაცვითი საფარისა და შეღებვის გარეშე);

ბ) ნებისმიერი ფორმის შიფერი;

გ) ფიქალი (გარდა საკულტო ნაგებობებისა).

- ექსტერიერის ელემენტები და მოწყობილობები/დანადგარები:

- განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე არა/საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს (გარდა შენობა-ნაგებობის ყრუ ფასადისა ან/და მშენებარე შენობა-ნაგებობის ფასადისა);

- სარეცხის საშრობი-გასაფენი, გათბობის, კონდიცირების და სხვა მსგავსი მოწყობილობები/დანადგარები უნდა განთავსდნენ შენობის შიგნით, სპეციალურად გამოყოფილ სათავსებში. მათი არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია მათი განთავსება ექსტერიერის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე, ერთიანი, მოწესრიგებული სახით. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მათი შემოსვა-შენიღბვა დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) და მათი არქიტექტურულ-მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტა. დაუშვებელია ასეთი მოწყობილობა-დანადგარების განთავსება ქუჩის მხარე ფასადზე.

- ანტენები (სატელიტური, რადიო და სხვა) უნდა განთავსდეს სახურავზე. ტექნიკური აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია მათი განთავსება შენობის ფასადზე, ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე. დაუშვებელია ასეთი მოწყობილობა-დანადგარების განთავსება ქუჩის მხარე ფასადზე;

- ღიობების დამცავი საშუალებები (ჟალუზების, გისოსების და სხვა) უნდა მოეწყოს ერთიანი პროექტის საფუძველზე, მათი არქიტექტურულ-მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტით;

- აივნებსა და ტერასებზე - ტენტების / საჩრდილობლების მოწყობა, ფასადის ერთიან სისტემაში გადაწყვეტა;

- სახურავზე მასალების ფერების შერჩევა უნდა მოხდეს იმგვარად, რომ გათვალისწინებულ იქნეს მიმდებარე განაშენიანების დომინანტური, ესთეტიკური თვალსაზრისით ღირებული არქიტექტურული გამომსახველობა;

1. **ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება**:

- მიწის ნაკვეთი საკადასტრო საზღვრებში საჭიროა კეთილმოეწყოს გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) მინიმალური მაჩვენებლის დაცვით;
- მაქსიმალურად შენარჩუნებულ იქნას საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები, ხოლო მათი მოჭრის ან ამოძირკვა(ამოღება)-გადარგვის (გარდა ხილ-კენკროვანი ნარგავებისა) აუცილებლობის შემთხვევაში, მიღებულ იქნას შესაბამისი ნებართვა ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურისგან.

1. **მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესრულების საჯაროობის უზრუნველყოფა:** ნებართვის გაცემის თითოეული სტადიზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამის ობიექტზე (შენობა-ნაგებობაზე), თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება. სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ცვლის საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაციის არსს, უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფაზე. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი. საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ. დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

**შენიშვნა:** კონკრეტული წესები იხილეთ „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებასა და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში.

## IV. ზოგადი მითითებები და რეკომენდაციები

-

1. **არქიტექტურულ პროექტში გათვალისწინებული იქნეს**:

- 2017 წლის 01 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28

იანვრის #41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „შენობა–ნაგებობის უსაფრთხოების წესები“–ს დამტკიცების თაობაზე. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ III, IV კლასს დაქვემდებარებული შენობებისა და ნაგებობების დაგეგმარებაზე და მშენებლობაზე (რომლის მოთხოვნებიც გათვალისწინებულ იქნეს საჭიროებისამებრ)

- ტერიტორიაზე არსებული საინჟინრო კომუნიკაციები და სხვა ხაზობრივი ნაგებობები (არსებობის შემთხვევაში) – დაცულ იქნეს სამშენებლო ნორმები; მათი გადატანის საჭიროების შემთხვევაში, წარმოდგენილ იქნეს ცნობა/თანხმობა შესაბამისი სამსახურებიდან/მესაკუთრისგან;
- ტერიტორიის გამწვანება;
- სანაგვე ყუთების განსათავსებლად ადგილების შერჩევა;
- გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;
- ღია ავტოსადგომ(ებ)ის განთავსება საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში. ამასთან, არაერთგვაროვანი და რთული რელიეფის პირობებში, სატრანსპორტო საშუალებების შენახვის რეკომენდებული სახეობაა ავტოსადგომები რელიეფის გამოყენებით (მიწის ქვეშა ავტოსადგომები);
- შენობის მიწისქვეშა სივრცის გამოყენება - საპროექტო ობიექტის ფუნქციის გათვალისწინებით, ნაკვეთის შესაძლებლობის შესაბამისად;
- პირველი სართული/სართულები შესაძლებელია დაიტვირთოს ზონის შესაბამისი საზოგადოებრივი ფუნქციით, არა უმეტეს შენობის საერთო ფართობის 25 %-სა.

**შენიშვნა:** არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა იხილეთ „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს

მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში.

1. **მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარმოსადგენ დოკუმენტაციაში გათვალისწინებული იქნეს**:

- მესაკუთრის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებაზე;
- არსებობის შემთხვევაში იპოთეკარის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებაზე;
    - მშენებლობის ორგანიზების პროექტის მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი, მშენებლობის ეტაპების ხანგრძლივობის გათვალისწინებით;
    - მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდა (მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს ახალასაშენებლი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისთვის 6(ექვსი) ლარს).
    - საინფორმაციო დაფის (ბანერის) შესაბამისად განახლება და ფოტოფიქსაცია (გადაღებული ახლო და შორი მანძილიდან).

**შენიშვნა:** მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტები იხილეთ „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მე ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

შ.პ.ს კირკიტაძე და კომპანია ( ს/ნ416294067 )


L.T.D "KIRKITADZE & COMPANY"

პეკინის ქ. №27 ტ: 2 37 23 00 მობ: 5 99 56 22 76, ფაქსი: 2 37 23 00

*Pekini str. N 27 tel: 2 37 23 00 mob: 5 99 56 22 76, fax: 2 37 23 00*

ქალაქი თბილისი, აგრალური უნივერსიტეტის ტერიტორია, (ს/კ 01.72.14.014.935)
შპს კუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC-ს (ID 202377178) საკუთრებაში არსებული 2500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული

# გეგმა




## პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

| | | | |
|---|---|---|---|
| ფოთლოვანი ხე | მთავარი იზოჰიფსი | გ | გაზი |
| ბუჩქი | დამხმარე იზოჰიფსი | | |
| ვაზი | 440.36 სიმაღლის ნიშნული | 01.17.14.001.229 | საკადასტრო საზღვარი საკადასტრო კოდი |
| 1 ხეების ნუმერაცია | | | |

შენიშვნა: 1) გეგმაზე დატანილია საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნაკვეთის საზღვრები
2) ვინაიდან გეგმაზე დატანილია მხოლოდ რეგისტრირებული მიწისქვეშა კომუნიკაციები მათი მდებარეობების დაზუსტება მოხდეს ყველა კომუნიკაციის წარმომადგენლებთან

შ.პ.ს. კირკიტაძე და კომპანია (ს/ნ416294067)
პეკინის ქ. №27/10 ტ: 2 37 23 00 მობ: 5 99 56 22 76, ფაქსი: 2 37 23 00
*L.T.D "KIRKITADZE & COMPANY"*
Pekini str. N 27/10 tel: 2 37 23 00 mob: 5 99 56 22 76, fax: 2 37 23 00
www. kirkitadze.ge kirkitadze@mail.ru

| | | |
|---|---|---|
| დირექტორი: | | რ. კირკიტაძე |
| აზომა: | | მ. ბასილაძე |
| დახაზა: | | ე. კობაქიძე |
| დამკვეთი | | შპს კუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC |
| მასშტაბი: 1:500 | | .03.2023წ. |

...\agraruli_30 03 (01.72.14.014.9 3/30/2023 4:36:56 PM

ლანდშაფტი 1:100



1- დასარგავი ნეკერჩხალი (**acer rubrum**)
სიმაღლე-3,5 მ დეკემბერი 20-სმ.
4 ცალი



2- დასარგავი ტუია (**thuja**)
7 ცალი



3- დასარგავი ფოტინეა (**fotinea**)
6 ცალი

4-ამავე ტერიტორიიდან გადმორგული გლედიჩია მცირე დიამეტრის ბუჩქად 11 ც.

5-ამავე ტერიტორიიდან გადმორგული გლედიჩია მცირე დიამეტრის 13 ც.

შენიშვნა: ექსპერტი ალექსანდრე აფციაურის დასკვნის საფუძველზე ტერიტორიაზე არსებული გლედიჩიები არის მცირე დიამეტრის და ექვემდებარება გადარგვას, თუმცა უკეთესია ისინი ჩანაცვლდეს ადამიანისათვის უსაფრთხო ნარგავებით, ვინაიდან არსებულ ხეებს აქვს ეკლები. გთხოვთ მოგვცეთ უფლება გადასარგავი 24 გლედიჩიის ადგილს დავრგოთ 6 ნეკერჩხალი, 12 ბუჩქი ტუია და ფოტინეა , (სადაც დაშორება 3 მ-ზე ნაკლებია). ასევე დარგვება 7 ძირი ტუია, 6 ძირი ფოტინეა და 4 ძირი ნეკერჩხალი, ჯამში 25 ბუჩქი და 10 დიდვარჯიანი ხე რაც სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

ტერიტორიის ფართი 2500 მ2
გამწვანების ფართი 485.95 მ2
აქედან:
მწვანე პარკინგი 193.05მ²
მწვანე გაზონი 292.90მ²

დენდროლოგია

| მასშტაბი | პროექტის ნაწილი (დარგი) |
|---|---|
| მ 1:100 | ახალი მშენებლობა |

ექსპლიკაცია:

1.დასარგავი ნეკერჩხალი – 4ც
2.დასარგავი ტუია — — — 7ც
3.დასარგავი ფოტინეა – — – 6ც
4.გადმოსარგავი გლედიჩია-24ც

ვირობითი აღნიშვნები:

შენიშვნები:

დამკვეთი: აუჯანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC

კახეთი თბილისის, პრეზიდენტის უნივერსიტეტის ტერიტორია

პროექტის სახელწოდება


კლინიკის არქიტექტურული პროექტი

ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ზესტაფონის ქ. №18, კორპ. №3, ბინა №20.
ტელ. (990 32) 2342314 (995 77) 178062
E-mail: megi.margalitashvili@yahoo.com


double group

| სტადია | დასკვნის № | ფორმატი |
|---|---|---|
| პროექტი | | A-3 |
| თანამდებობა ინიც., გვარი | ხელმოწერა | თარიღი |
| დირექტორი მ. მარგალიტაშვილი | | 11.02. |
| ა. მ. ა. დ. მარგალიტაშვილი მ. მარგალიტაშვილი | | 11.02. 11.02. |
| დაამუშავა მ.მარგალიტაშვილი | | 11.02. |
| შეამოწმა | | 11.02. |
| ფურცლები 2 | ფურც. № 02 | თბილისი 2023 წ. |

## გენგეგმა არსებული ნარგავებით 1:500




## გენგეგმა საპროექტო 1:500




შენიშვნა: საპროექტო ტერიტორიაზე არის 27 ხე ნაგავი, მათგან 3 ექვემდებარება მოჭრას, ხოლო დარჩენილი 24 გლედიჩიას ხე არის მცირე დიამეტრის მქონე და გადაირგვება საპროექტო ტერიტორაზე. ვინაიდან ხელს უშლის საპროექტო სამუშაოებს.

1. ტერიტორიის ფართი 2500 მ² (კ₃ კოეფიციენტის საანგარიშო ფართი 2.077მ²)
2. მოშენების ფართი 669.45 მ²
3. გამწვანების ფართი 485.95 მ²

აქედან:
მწვანე პარკინგი 193.05მ²
მწვანე გაზონი 292.90მ²

±0.00=442.00

## ტერიტორიაზე დასარგავი ხეები და ბუჩქები

| დასახელება | რაოდენობა | მდგომარეობა |
|---|---|---|
| 1.დასარგავი ნეჯერჩხალი | 4 | ახალი დარგული |
| 2.დასარგავი ტუია | 7 | ახალი დარგული |
| 3.დასარგავი ფოტინეა | 6 | ახალი დარგული |
| 4.გადმორგული გლედიჩია | 24 | გადმორგული |

# გენგეგმა

| მასშტაბი | პროექტის ნაწილი (დარგი) |
|---|---|
| მ 1:500 | ახალი მშენებლობა |

ექსპლიკაცია:

1.დასარგავი ნეჯერჩხალი – 4ც
2.დასარგავი ტუია — — — 7ც
3.დასარგავი ფოტინეა – — – 6ც
4.გადმოსარგავი გლედიჩია - 24ც

ცვლილებები:

შენიშვნები:


დამკვეთი: ჯუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC

ქალაქი თბილისი, პრესტიჟი უნივერსიტეტის ტერიტორია

პროექტის სახელწოდება

კლინიკის არქიტექტურული პროექტი

ქ. თბილისი, გლდანი_ნაძალადევის რაიონი, ზესტაფონის ქ. №18, კორპ. №3, ბინა №20.
ტელ. (990 32) 2342314 (995 77) 178062
E-mail: megi.margalitashvili@yahoo.com


double group


| სტადია | დაკვეთა № | ფორმატი |
|---|---|---|
| პროექტი | | A-3 |
| თანამდებობა / ინიც., გვარი | ხელმოწერა | თარიღი |
| დირექტორი მ. მარგალიტაშვილი | | 11.02. |
| ჯ. მ. ა. დ. მარგალიტაშვილი მ. მარგალიტაშვილი | | 11.02. 11.02. |
| დაამუშავა მ.მარგალიტაშვილი | | 11.02. |
| შეამოწმა | | 11.02. |
| ფურცლები 2 | ფურც. №ა-1 | თბილისი 2023 წ. |

# კომპიუტერული ვიზუალიზაცია




გადმოსარგავი გლედიჩია




გადმოსარგავი გლედიჩია

მწვანე პარკინგი 193.05 კვ.მ

გადმოსარგავი გლედიჩია




გადმოსარგავი გლედიჩია

დასარგავი ნეკერჩხალი

დასარგავი ფოტინია

დასარგავი ტუია


დასარგავი ტუია

დასარგავი ნეკერჩხალი

გადმოსარგავი გლედიჩია

გადმოსარგავი გლედიჩია

# დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა




1. დამკვეთი - შპს “კუზანოვის კლინიკა”

2. მისამართი–ქ. თბილისი, აგრალური უნივ. ტერიტორია

3. ნებართვის გამცემი ორგანო: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

4. სპეციალური ზონა-1(სპეცზ-1)-ში კ3=0.2 (485,95კვ.მ)

5. გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი -

6. დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა და რაოდენობა. 4 ძირი ნეკერჩხალი (3.5 მ) სიმაღლის და გარშემოწერილობა 20სმ
   6 ძირი - ფოტინია; 7 ძირი ტუია.
   24 ძირი გლეღიჩია - გადასარგავი

7. გაშენებულ ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი: შპს “კუზანონის კლინიკა”-ს დირექტორი: ავთანდილ ტურუში. ტელ: 577 17 30 22

8. გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი 01.07.2025

9. განაშენიანებული ხე მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა: 3 წელი